საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-192

14/03/2022

ქ. თბილისი

შპს „ნეოგაზის“ ბუნებრივი აირის საცავის ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანიზე“ გადაცემის შესახებ

2022 წლის 17 თებერვალს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ნეოგაზის“ დირექტორმა და შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“ მინდობილმა პირმა. შპს „ნეოგაზმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანიზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2011 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ბუნებრივი აირის საცავის ექსპლუატაციაზე (ქ. სამტრედია, სანავარდოს ქ.) გაიცა №14 (15.07.2011) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2014 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე“ გაცემული ნებართვა გადაეცა შპს „სი-ენ-ჯის“. 2015 წელს კომპანიის სახელწოდების ცვლილების გამო ზემოაღნიშნული ნებართვა გაიცა შპს „ნეოგაზზე“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2020 წლის 23 დეკემბერს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-1207 ბრძანება „შპს „ნეოგაზის“ ბუნებრივი აირის საცავის ექსპლუატაციაზე გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ნეოგაზის“ ბუნებრივი აირის საცავის ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 დეკემბრის №2-1207 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“;
2. შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 დეკემბრის №2-1207 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“ და შპს „ნეოგაზს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“ და შპს „ნეოგაზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი